# საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება

16 ივლისს გაიმართა საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება. განიხილეს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი ნახევრის, მიმდინარე წლის ექვსი თვის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგები და გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის აღსანიშნავი 1983 წლის ცხრა თვის გეგმებისა და ვალდებულებების წარმატებით შესრულების ღონისძიებანი.

აქტივის კრებაზე მოწვეული იყვნენ საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტების მდივნები, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეები, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები, რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებების, გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები, პირველადი პარტორგანიზაციების მდივნები.

აქტივის კრება გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ბ. ვ. კოლბინმა.

მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ დ. ლ. ქართველიშვილმა.

აქტივის კრებაზე გამოვიდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ნ. ა. ჩითანავა, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი ზ. შ. მესხიშვილი, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. ჯ. უბილავა, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი გ. ე. ჩიბოგიძე, საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის მინისტრი თ. ა. ჯაბადარი, საქართველოს სსრ მინისტრი, საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე რ. დ. ფანცხავა, პარტიის ლაგოდეხის რაიკომის პირველი მდივანი ვ. გ. ბაქრაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ს. ე. ხაბეიშვილი, საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრი დ. ნ. დვალიშვილი, გარდაბნის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. მ. დაშდამიროვი, საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე ო. ვ. მელქაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. გ. ვარძელაშვილი, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის მინისტრი ი.ა. ხარატიშვილი, სსრ კავშირის ვაჭრობის მინისტრი გ. ი. ვაშჩენკო.

აქტივის კრებაზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ.

რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებამ მიიღო შესაბამისი რეზოლუცია.

პარტიულ-სამეურნეო აქტივის მუშაობაში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტორის გამგე ვ. ა. კონდრატიევი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 137 (7448)

17 ივლისი 1983 წ. კვირა.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

„ლელოს" სპეციალური კორესპონდენტი ლ. ხეცურიანი ტელეფონით გვატყობინებს:

●

## კრილატსკოეში მოპოვებული ქულები

დამთავრდა სსრ კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადის ფინალური ასპარეზობა აკადემიურ ნიჩბოსნობაში. ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებმა 112 ქულა მოაგროვეს და საერთო გუნდური XI ადგილი დაიკავეს. ოთხადგილიანი ნავებით ასპარეზობისას ჩვენი ქალები ფინიშზე V იყვნენ. ვაჟები ორადგილიანი უმესაჭო ნავებით ასევე V ადგილზე გავიდნენ, ხოლო მესაჭიანით — VI. ვაჟების მესაჭიანმა ოთხიანმა მცირე ფინალში I ადგილი მოიპოვა და ამით საერთო VII ადგილი დაიკავა. ვაჟთა რვიანებით ასპარეზობაში ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები XII ადგილზე გავიდნენ. ასევე XII ადგილი დაიკავეს ერთადგილიანი ნავებით მოასპარეზე ქალებმაც.

●

## ჭადრაკის დაფასთან

გუშინწინ მოსკოვში დაიწყო მოჭადრაკეთა სასპარტაკიადო წინასწარი შეჯიბრებები. გაგაცნობთ შედეგებს: „ა" ჯგუფი — უკრაინა—თურქმენეთი 4:1 (3 პარტია გადადებულია), მოლდავეთი — აზერბაიჯანი 2,5:1,5 (4), ლატვია—ყირგიზეთი 3,5:1,5 (3); „ბ" ჯგუფი — მოსკოვი — ტაჯიკეთი 6:1 (1) ლენინგრადი — ლიტვა 3,5:2,5 (2), უზბეკეთი —ყაზახეთი 1:3 (4); „ვ" ჯგუფი—რსფსრ — სომხეთი 2,5:1,5 (4), ესტონეთი ამ დღეს თავისუფალი იყო, ბელორუსია — საქართველო 2:1 (5).

გუშინ ჩვენი გუნდი ისვენებდა, დღეს მოეწყობა შეხვედრები გადადებულ პარტიათა დასამთავრებლად.

●

## სპარტაკიადის პროგრამით

გუშინ დაიწყო სსრ კავშირის VIII სპარტაკიადის საფეხბურთო ტურნირის წინასწარი მატჩები. პირველი შეხვედრები გაიმართა ქ. ტულაში.

საქართველოს ფეხბურთელები, როგორც ცნობილია, ასპარეზობენ ივანოვოში, მათთან ერთად IV ჯგუფში მონაწილეობენ ლენინგრადის, მოლდავეთისა და ტაჯიკეთის გუნდები.

საქართველოს ნაკრები პირველ შეხვედრას 20 ივლისს გამართავს მოლდავეთის გუნდთან. შემდეგ ჩვენი ფეხბურთელები ეთამაშებიან ლენინგრადელებს (22 ივლისი) და ტაჯიკეთის გუნდს (24 ივლისი).

●

## ფოტოფინიშმა გადაწყვიტა

ფეოდოსია. ძირითად ჯგუფს მოწყდა და 100 კმ-ზე მეტი ერთად იარა მეგობრულმა შვიდეულმა ოლიმპიური ჩემპიონის სერგეი სუხორუჩენკოვის მეთაურობით. სსრ კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადის მრავალდღიანი ველორბოლის მეცხრე, 148-კილომეტრიანი ეტაპის ფინიშზე პირველი იყო უკრაინელი სპორტსმენი ა. ევპაკი — 3:37.44.

მხოლოდ ფოტოფინიშმა გადაწყვიტა „შვიდეულის" დავა. მეორეა მ. სუხოროსლოვი (მოლდავეთი), მესამე — ყაზახეთის ნაკრების წარმომადგენელი ვ. კოლომინი.

# ოლიმპიური სტანდარტის შენარჩუნებით

ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი, სადაც სანიმუშოდ ჩატარდა ოლიმპიადა-80-ის შეჯიბრებები, მზადაა სსრ კავშირის ხალხთა წლევანდელი სპარტაკიადისთვის. ლუჟნიკის სპორტული კომპლექსის დიდ სარბიელზე, რომელიც 100000 მაყურებელს იტევს, 23 ივლისს საზეიმოდ გაიხსნება სპარტაკიადა. გახსნის ცერემონიალი, — თქვა სტადიონის გენერალური დირექტორის მოადგილემ ა. გუსევმა, — ისეთივე ლამაზი იქნება, როგორიც ოლიმპიადის გახსნის ცერემონიალი იყო. მაყურებელს რამდენიმე სიურპრიზი მოელის, — დასძინა გუსევმა ღიმილით.

შეჯიბრების მაღალ დონეზე ჩატარების გარანტიას იძლევა სტადიონის მუშაკთა კოლექტივის მაღალი პროფესიული ოსტატობა (მათი რიცხვი 1500-ს უდრის — დაწყებული მებაღეებიდან, მწვრთნელებისა და ინჟინრების ჩათვლით).

გარეგნულად სტადიონი, რომელსაც 184,5 ჰექტარი ფართობი უკავია, თითქმის არ შეცვლილა. აქ ფუნქციონირებს 144 სპორტული ნაგებობა, მათ შორის, დიდი სარბიელის გარდა, სპორტის სასახლე, მცირე სარბიელი, უნივერსალური დარბაზი „დრუჟბა", საცურაო აუზი, საბავშვო სპორტული ქალაქი. მალე მათ შეუერთდება კიდევ ორი — ჩოგბურთის ცენტრალური კორტი, რომლის ტრიბუნები 4 ათას მაყურებელს დაიტევს და ფეხბურთის მანეჟი. საერთო ჯამში ლუჟნიკის სტადიონს სპორტის 32 სახეობის მასპინძლობა შეუძლია.

სპორტული სარბიელის ამჟამინდელი ტექნიკური აღჭურვილობა ისეთივე სანიმუშოა, როგორიც სამი წლის წინათ იყო. 1980 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის დაყენებული ყველა აპარატურა, მათ შორის ელექტრონული ტაბლო, ზუსტად მუშაობს. ბოლო დროს ლუჟნიკში წარმატებით გამოიცადა საბჭოთა წარმოების სამსაჯო აპარატურის ახალი კომპლექსები. მძლეოსანთა სასპარტაკიადო ტურნირზე გამოიყენებს სიგრძეზე ხტომის ახალი საზომი, მოფარიკავეთა ტურნირზე — ჩხვლეტების სრულყოფილი აღმნუსხველი.

ჩვენ ყურადღებით ვადევნებთ თვალს სიახლეებს ამ დარგში, — ხაზი გაუსვა გუსევმა. — ვცდილობთ გამოვიყენოთ ყველაფერი საუკეთესო.

ყველაზე მთავარი ის გახლავთ, რომ ლუჟნიკის სტადიონი მუდამ სავსეა. მის სპორტულ მოედნებზე ვარჯიშობს 6-დან 70 წლის ასაკის 40000-მდე კაცი (ოლიმპიადა-80-მდე ეს ციფრი 1200-ით ნაკლები იყო). მათ შორის არიან არა მარტო ისინი, ვინც სექციებში, უმაღლესი სპორტული დაოსტატებისა და ბავშვთა სპორტულ სკოლებში დადიან, არამედ საერთო ფიზმომზადების ჯგუფებიც. კვირაში რამდენჯერმე აქ ვარჯიშობს 11 ათასი მოსკოველი, რომლებსაც სურთ შეინარჩუნონ ფიზიკური ფორმა და ამასთან ერთად მაღალი შრომისნაყოფიერება. ერთი სიტყვით, აქ საქმით ხორციელდება ოლიმპიური ქარტიის ერთ-ერთი მოთხოვნა: ოლიმპიური თამაშებისთვის მოწყობილი ნაგებობები შემდგომში ჩადგეს მოსახლეობის სამსახურში.

ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურმა სტადიონმა ოლიმპიადა-80-დან სპარტაკიადა 83-მდე არაერთ დიდ შეჯიბრებას უმასპინძლა. მათ შორის ტურნირებს სპორტულ ტანვარჯიშსა და ფიგურულ ციგურაობაში, ჰოკეისტთა შეჯიბრებებს გაზეთ „იზვესტიის" პრიზზე, მოფარიკავეთა ასპარეზობას „მოსკოვის ხმალი", ძმები ზნამენსკების მძლეოსნურ მემორიალს მრავალწლიანი ტრადიცია აქვს. მომავალ გაზაფხულზე, აპრილში ლუჟნიკში ჩატარდება ოფიციალური ტურნირი — მაგიდის ჩოგბურთელთა ევროპის ჩემპიონატი.

ახლა კი დედაქალაქის მთავარი სპორტული სარბიელი ემზადება ყველა კონტინენტიდან ჩამოსული სტუმრების მისაღებად, რომლებიც 23 ივლისს თავს მოიყრიან სპარტაკიადის საზეიმო გახსნის ცერემონიალზე (საკდესი).



ს უ რ ა თ ზ ე: მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის გარე ხედი, სადაც 23 ივლისს საზეიმოდ გაიხსნება სსრ კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადა.

საკდესის ფოტო.




ვაჯამებთ შედეგებს

# ჩოგბურთელთა შორის

**უკანასკნელ** წლებში ნებისმიერ საკავშირო ასპარეზობაზე ჩვენი მაგიდის ჩოგბურთელები ტრადიციულად სატურნირო ცხრილის ბოლოში იკავებენ ადგილს. გამონაკლისი არც ამას წინათ ლვოვში დამთავრებული საბჭოთა კავშირის VIII სპარტაკიადის ტურნირი ყოფილა. ქალთა გუნდმა (ს. პარფინიდი, ნ. გოზალიშვილი, ნ. ქამიერაშვილი) 6 შეხვედრიდან ყველა წააგო საერთო ანგარიშით 7:30 და უკანასკნელ XVI ადგილზე აღმოჩნდა. (შეჯიბრებაში არ გამოდიოდა ყირგიზეთის ნაკრები). 7 მოგებული ორთაბრძოლიდან 5 პარფინიდის, 2 გოზალიშვილის ანგარიშზეა.

შედარებით უკეთესი შედეგი ჰქონდა ვაჟთა გუნდს, რომლის შემადგენლობაში იყვნენ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ს. სარხოიანი, საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონი ჯ. მელაძე და ა. გიკაშვილი. ქვეჯგუფში მათ მოლდავეთის ნაკრებს სძლიეს ანგარიშით 5:3 და IX-XII ადგილებისათვის გააგრძელეს ბრძოლა. ლენინგრადის ძლიერ გუნდთან გამარჯვების (5:3) შემდეგ ჩვენს ჩოგბურთელებს ათეულში მოხვედრის შანსი გაუჩნდათ, მაგრამ გადამწყვეტ შეხვედრაში ასეთივე ანგარიშით დამარცხდნენ ტაჯიკეთის ნაკრებთან და საბოლოოდ მე-12 ადგილზე აღმოჩნდნენ.

პირად ტურნირში, როგორც მოსალოდნელი იყო, მხოლოდ სარხოიანი მოხვდა 16 უძლიერესს შორის, მხოლოდ მან შეძლო ჩასათვლელი ქულების მოტანა. საბოლოოდ, სპარტაკიადაზე საქართველოს ნაკრები (ქალთა და ვაჟთა გუნდებისა და პირადი ტურნირის შედეგების გათვალისწინებით) მე-14 ადგილზე გავიდა და ჩვენი რესპუბლიკის სპორტულ დელეგაციას მხოლოდ 12 ქულა შესძინა.

ლვოვში მცირე ჩოგნის ოსტატთა გამოსვლის შესახებ აზრის გამოთქმა ვთხოვეთ ჩვენი სპორტული დელეგაციის ხელმძღვანელს, რესპუბლიკის სპორტკომიტეტის მთავარ მწვრთნელს მაგიდის ჩოგბურთში **ნოდარ გელაძეს:**

— სპარტაკიადის დებულების თანახმად, ასპარეზობაზე დაიშვებოდნენ მხოლოდ სპორტის ოსტატები. გარდა ამისა, ასაკობრივი შეზღუდვაც ძალაში იყო. ჩვენ გარკვეულ იმედს ვამყარებდით ვაჟთა გუნდზე, რომელსაც სარქის სარხოიანი ედგა სათავეში. ამიტომაც გავაძლიერეთ იგი კიდევ ერთი ვეტერანით (გუნდში შევიყვანეთ ალექსანდრე გიკაშვილი). მართალია, ამის გამო ქალთა ნაკრებში ვეღარ იასპარეზა საქართველოს სპარტაკიადის ჩემპიონმა მაგდა პაპუკაშვილმა, მაგრამ, ვფიქრობ, უკეთეს შედეგს ვერც მაშინ მოვიპოვებდით. ლენინგრადის ძლიერ გუნდთან ჩვენი ვაჟების გამარჯვება უფრო სასიამოვნო მოულოდნელობაა, ვიდრე კანონზომიერი შედეგი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს იყო საქართველოს ნაკრების საუკეთესო მატჩი სპარტაკიადაზე. სარხოიანს, რომელმაც სამივე მეტოქის დამარცხება შეძლო, კარგად აუბა მხარი მელაძემ და ორი გამარჯვებაც მოიპოვა, რაც საკმარისი იყო მატჩის მოსაგებად. საერთოდ, ლვოვში სარხოიანის გამოსვლამ ძალზე სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა. ასაკმა ხელი ვერ შეუშალა სპორტსმენს. მაყურებელმა კვლავ იხილა ჩოგნის ფლობის უზადო ტექნიკა, ლამაზი და ეფექტური შეტევები. გუნდურ ტურნირში სარხოიანი მსაჯებმა 17-ჯერ იხმეს მაგიდასთან და 14 ორთაბრძოლა ვეტერანმა ოსტატმა თავის სასარგებლოდ დაამთავრა. გარდა ამისა, იგი გამოირჩეოდა კორექტულობით, მეტოქისადმი პატივისცემით და რა გასაკვირია, რომ მაყურებელთა საგანგებო პრიზი სწორედ სარხოიანმა დაიმსახურა (ქალთა შორის ანალოგიური პრიზი სპორტის დამსახურებულ ოსტატს, სუმგაითელ ვალენტინა პოპოვას გადაეცა).

სარხოიანმა პირად ტურნირშიც წარმატებით აიღო სტარტი — ქვეჯგუფებში ყველა მეტოქე დაამარცხა და 24 უძლიერესს შორის ასპარეზობის უფლება მოიპოვა. მაგრამ ფინალისკენ მას გზას გადაუღობა მოსკოველმა ვალერი შევჩენკომ, რომელიც ჩვენი ქვეყნის უძლიერეს მაგიდის ჩოგბურთელთა სიაში მე-2 ადგილზეა (სარხოიანი მეცხრეა). ამ შეხვედრის მოგების შემდეგ შევჩენკომ დანარჩენ ორთაბრძოლებშიც მიაღწია წარმატებას და სპარტაკიადის ჩემპიონის წოდება მოიპოვა.

რაც შეეხება სპარტაკიადაზე ჩვენი გუნდის დანარჩენი წევრების გამოსვლას, მათ ქვეჯგუფებში წარუმატებლად იასპარეზეს და გათამაშების შემდგომ ეტაპზე თამაშის უფლება ვერ მოიპოვეს.

ოთხი წლის შემდეგ, მომავალ სპარტაკიადაზე ასეთივე სავალალო შედეგი რომ არ გვქონდეს და კვლავ სატურნირო ცხრილის ბოლოში არ აღმოვჩნდეთ, საჭიროა ამთავითვე შევუდგეთ მზადებას, ძირფესვიანად უნდა გარდავქმნათ მწვრთნელთა მუშაობა. ჩვენს რესპუბლიკაში მაგიდის ჩოგბურთის პრობლემებზე არაერთხელ თქმულა და დაწერილა, მაგრამ ამაოდ... მდგომარეობის გამოსასწორებლად საჭიროა დროზე მივმართოთ გადამჭრელ, რადიკალურ ზომებს.

**გ. ახალაძე,**
**საქართველოს მაგიდის ჩოგბურთის ფედერაციის პასუხისმგებელი მდივანი.**

საქონელი — ხალხს!

„...საჭიროა ფართო მოთხოვნილების საქონლის აუცილებელი რაოდენობით წარმოება".

(სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის (1983 წ.) პლენუმის მასალებიდან).

# თანამედროვე მოთხოვნათა გათვალისწინებით

— **ძალიან** მომწონს!

— ნეტავ მრავლად იყოს ასეთი კარგი საქონელი!

აი, ასე აფასებენ ვაჭრობის მუშაკები და მყიდველები „ტრენინგის" ტიპის სავარჯიშო ფეხსაცმელს და ახალგაზრდულ ფერად ჩანთას „სამაიას", რომელსაც საქართველოს სპორტკომიტეტის თბილისის საწარმოო კომბინატი უშვებს.

— ორივე სიახლე გამოშვებულია სავაჭრო ორგანიზაციებთან შეთანხმებული ფასების მიხედვით, — თქვა საწარმოს მთავარმა ინჟინერმა რევაზ ხოხლენკომ. — წლეულს მომხმარებლები მიიღებენ 300 ათასი მანეთის პროდუქციას. ჩვენი აზრით, მასობრივი მოთხოვნილების საგნების გამოშვება შეთანხმებული ფასებით ხელსაყრელია როგორც კომბინატისთვის, ასევე ვაჭრობაშიც, რამდენადაც საქონელი გამოდის მომხმარებელთა მოთხოვნილების გათვალისწინებით, მცირე პარტიებით. ასეთმა პრაქტიკამ გაამართლა.

ახლა კომბინატი სავაჭრო ქსელში გზავნის 32 დასახელების ძირითადად სპორტულ საქონელს. ესენია ლაბადების ქსოვილისაგან დამზადებული ქურთუკები, ფეხბურთისა და ფრენბურთის ბურთები, საჭიდაო და სატანვარჯიშო ფეხსაცმლები, რგოლები მხატვრული ტანვარჯიშისთვის, ტანვარჯიშული სავარჯიშო ლეიბები, ბადმინტონის ვოლანები და სხვ. ამ საქონლის 22 პროცენტს მინიჭებული აქვს ხარისხის ნიშანი. უმაღლესი ხარისხის პროდუქციის გამოშვება შარშანდელთან შედარებით 9,5 პროცენტით გაიზარდა.

საწარმოს მარკის საქონელი ჩვენი ქვეყნის ბევრ ქალაქში იგზავნება. ჩვენი რესპუბლიკის სპორტის ბევრი სახეობის წარმომადგენლები ამ საწარმოს მიერ გამოშვებული პროდუქციით არიან აღჭურვილები სსრ კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადაზე.

საწარმოში არის საამქრო, სადაც ამზადებენ სპორტულ ვიმპელებსა და ალმებს, აგრეთვე სსრ კავშირის, მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო დროშებს, სპეციალური შეკვეთით კი — უცხოეთის სახელმწიფოების დროშებსაც. აქ თავიანთ მოვალეობას გულმოდგინედ ასრულებენ ნათელა ჯოხაძე და ლილი მილოვაცკაია.

კომბინატის კოლექტივმა წარმატებით შეასრულა 6 თვის გეგმა — გამოუშვა 110 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია, წლიური ვალდებულება კი 80 ათას მანეთს ითვალისწინებდა; წარმოების მოცულობის ზრდის ტემპმა 107,2 შეადგინა.

ერთი გარემოება რომ არა, საწარმო უფრო მაღალ მაჩვენებლებს მიაღწევდა: საქმე ისაა, რომ საამქროები რეკონსტრუქციას საჭიროებს. ჯერ კიდევ 1979 წელს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება კომბინატის რეკონსტრუქციის თაობაზე. იმავე წელს შედგა პროექტი. სამწუხაროდ, ეს იდეა დღევანდლამდე განუხორციელებელია. ვიმედოვნებით, რომ რესპუბლიკის შესაბამისი ორგანოები ქმედით დახმარებას გაუწევენ კომბინატის კოლექტივს და მთლიანად რესპუბლიკის სპორტკომიტეტს ამ მნიშვნელოვანი და საჭირო ღონისძიების რეალიზაციაში.

პროექტის განხორციელება საშუალებას მოგვცემს ბევრად უფრო გავზარდოთ, გავაფართოოთ სპორტულ ნაწარმთა ასორტიმენტი, გავაუმჯობესოთ მათი ხარისხი. ეს კი უეჭველად ხელს შეუწყობს ქართული სპორტის განვითარებას.

**რ. მეგრელიშვილი.**

შრომა და სპორტი

# შესანიშნავი ხუთეული

**ისინი** იდგნენ საპატიო კვარცხლბეკის საფეხურზე და სახეზე ბედნიერი ღიმილი დასთამაშებდათ, ეთერ ხეჩიკაშვილმა და მისმა ოთხმა მეგობარმა გაიმარჯვა საქალაქო შეჯიბრებაში „მთელი ბრიგადით სტარტზე!" მათ წარმატება პირველებმა მიულოცეს ამხანაგებმა — თბილისის ნაქსოვი თეთრეულის ფაბრიკის გულშემატკივრებმა.

...ერთი წლის წინათ ამ საწარმოს გამოჭრის საამქროში შეიქმნა კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ეთერ ხეჩიკაშვილი — მოწინავე გამომჭრელი, თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატი. არჩევანი სწორი იყო. წლის ბოლოს ბრიგადა სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებული გახდა.

ბრიგადის ყველა 9 წევრი სპორტსმენია, მათ არაერთხელ გაუმარჯვიათ კალათბურთელთა, ფრენბურთელთა, მძლეოსანთა, მსროლელთა შეჯიბრებაში. უძლიერესები ყოფილან რაიონულ სპარტაკიადაზე.

— გუნდის ძირითად ბირთვს შეადგენენ დები ციცინო და სულიკო გოქსაძეები, ლამზირა ქორიძე, ლალი ხაჩატუროვა, — გაგვაცნო მეგობრები კაპიტანმა. — ეს მათ ჩაუყარეს საფუძველი ჩვენს წარმატებას საქალაქო სპარტაკიადაზე.

გოგონებს მარტო სპორტი როდი აინტერესებთ, თუმცა თითქმის მთელს თავისუფალ დროს მას უძღვნიან. ბრიგადის წევრებს შეხვდებით თეატრალურ პრემიერებზე, საკონცერტო დარბაზებში და სპორტულ ღონისძიებებზე. გოგონათა უმრავლესობა სწავლობს: ეთერი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტია. ციცინო და სულიკო მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმში სწავლობენ, ლამზირა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტია. ლალიმ წარჩინებით დაამთავრა პროფტექსასწავლებელი და ახლა უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გასაგრძელებლად ემზადება.

— ეთერის და მისი მეგობრების დამსახურებად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ ფაბრიკის 1500 მუშა-მოსამსახურიდან თითქმის ყოველი მესამე ჩაბმულია ფიზკულტურასა და სპორტში, — თქვა საწარმოს კომკავშირის ორგანიზაციის მდივანმა ლალი ბლუაშვილმა. ფაბრიკაში შექმნილია კალათბურთის, ფრენბურთის, მაგიდის ჩოგბურთის, ჭადრაკისა და სროლის სექციები, თუმცა ყველაზე პოპულარული მაინც ტურიზმია გოგონები ხშირად გაუყვებიან ხოლმე გზებს ბეთანიისკენ, ცხვარიჭამიისკენ, კიკეთისკენ...

(საქდესი).



ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: (მარცხნიდან) — საამქროს უფროსი ს. შანკულოვი, კომბინატის სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარის მოადგილე დ. ბერძენიძე და წუნმდებელი ნ. ნაგიევი სპორტული ნაწარმის ხარისხზე მსჯელობენ; მკერავი მ. კარია და მხატვარი გ. წოწორია ამოწმებენ ვიმპელებს.

ჯანმრთელობის ბილიკები

# გუშინ სტენოკარდია, დღეს... 10 კმ-იანი დისტანცია

**ათი** წელი გავიდა მას შემდეგ, რაც გაზეთ „სოვეტსკი სპორტის" ფურცლებზე გაჩნდა მოწოდება „სწორება კუზე!", ჩვენი ჯანმრთელობის ჯგუფი კი, რომლის დევიზია „სირბილი — მხოლოდ ჯანმრთელობისათვის", ჩამოყალიბდა 1970 წლის სექტემბერში.

თავის დღეობას და გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს მიუძღვნა კლუბმა ასპარეზობა 5, 10, 20 და 30 კმ-ზე რბენაში, რომელიც გასულ კვირას ჩატარდა თბილისის ზღვაზე. ასპარეზობის ძირითადი მიზანი იყო მორბენალთა კლუბის წევრების მომზადების დონის შემოწმება მოსკოვის საერთაშორისო მარათონის წინ. ამ მეტად საპასუხისმგებლო ასპარეზობაში „კუს" ხუთი წევრი დაიცავს კლუბისა და მთელი რესპუბლიკის სპორტულ ღირსებას.

შეჯიბრებაში მონაწილეობდა 9-დან 52 წლამდე ასაკის 36 სპორტსმენი, აქედან — 6 ქალი.

5 კმ-ზე რბენაში გოგონათა შორის გაიმარჯვა ე. ბურნაძემ (დაბადებული 1971 წ.) — 23.21,6, ბიჭებს შორის პირველი იყო მ. მანუკოვი (1971 წ.), 20.53,0.

5 კმ-იან დისტანციაზე მშვენივრად იასპარეზეს შეჯიბრების ყველაზე უმცროსმა მონაწილემ, 8 წლის გიორგი ბერიაშვილმა და 12 წლის ელზა ბურნაძემ. მართალია, ამჯერად მათი შედეგი ერთობ მოკრძალებული იყო, მაგრამ გაივლის რამდენიმე წელიწადი და მჯერა, რომ ისინი ბევრ სასიამოვნო წუთებს განაცდევინებენ მძლეოსნობის მოყვარულთ.

ვეტერან ქალებს შორის პირველი იყო ო. მესხი — 29.10,0, 10 კმ-ზე ჭაბუკთა შორის — ვ. ბუჩნევი — 44.39,0, ქალთა შორის — ა. ბერსენიოვა — 43.27,0. 10 კმ-ზე ვეტერან ვაჟთა შორის ქების ღირსია გ. კაველაშვილი — 52,32,0. აღსანიშნავია, რომ რბენის მოყვარულთა კლუბში მოსვლამდე გიორგი კაველაშვილს აწუხებდა სტენოკარდია, არითმია, ჰაერის უკმარობა, ადვილად ცივდებოდა. დაიწყო ვარჯიში. თავდაპირველად მხოლოდ დადიოდა, მერე თანდათან გადავიდა სირბილზე და წლეულს, მარტში, პირველად შეჯიბრებაზეც კი გამოვიდა. ახლა, კლუბის საიუბილეო ასპარეზობაზე კი, მიუხედავად დიდი სიცხისა, გიორგიმ, მისთვის გათვალისწინებული 5-ის ნაცვლად, 10 კილომეტრი ირბინა.

20 კმ-ზე მორბენალ ვეტერან ვაჟთა შორის პირველი იყო ბ. ესაკია 1:41.15,0. 30 კმ-ზე ვაჟთა შორის ადგილები ასე განაწილდა: ვ. გედევანიშვილი — 1:46.34,6, ნ. ლომიძე —2:00,32,2, ვ. ომელჩენკო — 2:05.44,0.

აქვე არ შემიძლია ჩვენი, მორბენლების გულისტკივილიც არ გაგიზიაროთ. საქმე ის არის, რომ გაზეთმა „ლელომ" მშვენიერი ინიციატივა გამოიჩინა: შეჯიბრებაში გამარჯვებულ მორბენლებს სამახსოვრო ვიმპელებით აჯილდოებდა. მაგრამ ეს იყო მხოლოდ ერთ წელიწადს, მერე კი რატომღაც მიივიწყა ჩვენთვის ეს ფრიად წამახალისებელი და დასამახსოვრებელი რიტუალი. სწორედ იმ ასპარეზობამ მოგვცა ორი საუკეთესო სპორტსმენი, რომელთაგან პირველმა — ვ. გედევანიშვილმა (მწვრთნელი ა. ბურნაძე) ქ. თბილისის VIII საზაფხულო სპარტაკიადაზე 10 კმ-ზე რბენაში I თანრიგის ნორმატივი შეასრულა. ჩვენ იმედის თვალით ვუყურებთ ვალერის და გვჯერა, რომ მოსკოვის მარათონზე სპორტის ოსტატის ნორმატივს შეასრულებს.

მეორე გახლავთ გ. როჩიკაშვილი, სპორტის ოსტატი კლასიკურ ჭიდაობაში, რომლის ენთუზიაზმით და მონდომებით კიკვიძის სახელობის პარკის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა რბენის მოყვარულთა კლუბი „წყარო". მისმა სამმა წევრმა მონაწილეობა მიიღო ჩვენს შეჯიბრებაში, რომელთაგან სულ ახალბედა გ. ქუფოშვილმა საკმაოდ კარგი დრო აჩვენა და შესაშური ტექნიკით ირბინა. შეჯიბრების მოწყობაში დიდი დახმარება გაგვიწია ამიერკავკასიის რკინიგზის „ლოკომოტივის" საგზაო საბჭომ მანვე გამოგვიყო ავტობუსი და პრიზები გამარჯვებულთათვის. მორბენალთა უსაფრთხოებისთვის იზრუნეს თბილისის ავტოინსპექციის მუშაკებმა, თავს დაგვტრიალებდა ჩვენი ექიმი მ. თავდიშვილი.

**ჯ. ხუბუა.**

# სტატისტიკოსის ბლოკნოტში

**მოგვყავს** სსრ კავშირის 46-ე საფეხბურთო ჩემპიონატის 13 და 14 ივლისის მატჩების ტექნიკური მონაცემები.

**„სპარტაკი“ — „ჩერნომორეცი“ 4:0 (1:0).** პირველი ბურთი მე-10 წუთზე გაიტანა გავრილოვმა (11-მეტრიანი), შემდეგ ჩერენკოვმა და კვლავ გავრილოვმა (ორჯერ) ანგარიში აიყვანეს 4:0-მდე.

გააფრთხილეს მოსკოველი ჩერენკოვი და ოდესელი იშჩაკი.

მატჩი იმსაჯა სოხუმელმა ა. მილჩენკომ. მას ეხმარებოდნენ თბილისელი გ. სეფიაშვილი და ორჯონიკიძელი ვ. ჩეხოევი.

დუბლიორები — 2:2.

**„ფახთაქორი“ — „დნეპრი“ 0:1 (0:1).** მასპინძელთა კარში ტაიმის ბოლო წუთზე ბურთი გაიტანა დილაიმ.

გააფრთხილეს „დნეპრის“ მოთამაშე უსტიმჩიკი.

მატჩი იმსაჯა საქართველოს მსაჯთა კოლეგიის ბრიგადამ: ვ. მიმინოშვილი (თბილისი), გ. გაბესკირია (სოხუმი), უ. ფურცელაძე (თბილისი).

დუბლიორები — 0:0.

**„დინამო“ (მოსკოვი)— „ნისტრუ“ 2:1 (0:1).** ანგარიში 35-ე წუთზე პენალტით გახსნა კიშინიოველმა ბატიჩმა. შესვენების შემდეგ გაზაევმა საპასუხო ბურთი გაიტანა, შემდეგ კი დინამოელები დააწინაურა ლატიშმა. ამას გარდა, მოსკოველმა მოლოდცოვმა ვერ გამოიყენა 11-მეტრიანი (ბურთი მოიგერია „ნისტრუს“ მეკარემ ჩებოტარმა).

გააფრთხილეს კიშინიოველი შჩერბეი.

დუბლიორები — 3:0.

**„არარატი“ — ცსკა 1:1 (0:1).** ბურთები გაიტანეს არმიელმა პლოტნიკოვმა და ერევნელმა ოჰანესიანმა.

დუბლიორები — 1:2.

**„ნეფთჩი“ — „ქალგირისი“ 3:0 (2:0).** ჩემპიონატის I წრის ლიდერის კარში ბურთები გაიტანეს ახმედოვმა, ალიევმა და ჯავადოვმა.

დუბლიორები — 2:1.

**„ზენიტი“ — „შახტიორი“ 0:2 (0:2).** მე-11 და მე-13 წუთებზე ზედიზედ გაიტანეს ბურთები გრაჩოვმა და იაშჩენკომ. 23-ე წუთზე ლენინგრადელმა კაზაჩონოკმა კარს ააცილა 11-მეტრიანი.

გააფრთხილეს დონეცკელი პოკიდინი.

დუბლიორები — 2:0.

● ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირთა რიგებში ცვლილებებია. 11-11 გატანილი ბურთით დაწინაურდნენ სპარტაკელი ი. გავრილოვი და მინსკელი ი. გურინოვიჩი. 10-10 ბურთი გაიტანეს ვ. ფინკმა („ჩერნომორეცი“), ხ. ოჰანესიანმა („არარატი“) და ა. იაკუბიკმა („ფახთაქორი“).

● განვლილ ტურში „ჰეთ-თრიკი“ შეასრულა სპარტაკელმა ი. გავრილოვმა.

● ყველაზე მეტი დიდი ანგარიშით გამარჯვების პრიზისათვის ბრძოლაში დაწინაურდა მოსკოვის „სპარტაკი“, რომელმაც 4 მატჩში გაიმარჯვა 3 და მეტი ბურთის სხვაობით.

● ტაშკენტის „ფახთაქორს“ 11 მატჩი ჰქონდა ჩატარებული დაუმარცხებლად, მე-12 შეხვედრა კი შინ წააგო „დნეპრთან“.

● ზედიზედ 10 ტურია არ გაუმარჯვია „ნისტრუს“, 7 — მოსკოვის „ტორპედოს“.

● წლევანდელ სეზონში საკუთარ მინდორზე პირველად წააგო ლენინგრადის „ზენიტმა“.

● განვლილ ტურში მარცხი განიცადა გათამაშების სამივე ლიდერმა — „ჩერნომორეცმა“, „ფახთაქორმა“, „ჟალგირისმა“.

● ბოლო ტურში დაინიშნა 5 პენალტი, აქედან 3 — სტუმრების კარში. ჩემპიონატის დასაწყისიდან სულ 48 პენალტი დაინიშნა, მათგან მხოლოდ 9 მასპინძელთა კარში.

● გასულ ტურში მესამე გაფრთხილება მიიღეს კიშინიოველმა შჩერბეიმ და ქუთაისელმა ქელიძემ, მეორედ გააფრთხილეს მინსკელი ბოროვსკი, დონეცკელი პოკიდინი და სპარტაკელი ჩერენკოვი.

● სსრ კავშირის სპორტკომიტეტმა განიხილა სპორტსაზოგადოება „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს შუამდგომლობა მოსკოვის „დინამოს“ ყოფილი მოთამაშის ა. ბუბნოვისთვის მოქმედი დისკვალიფიკაციის პირობითი დისკვალიფიკაციით შეცვლის თაობაზე. ამას გარდა, მოსკოვის სპორტკომიტეტმა და თვით ა. ბუბნოვმა თხოვნა შეიტანეს, რათა მას ნება დართონ ითამაშოს მოსკოვის „სპარტაკში“.

დებულების თანახმად, ჩვენი ქვეყნის იმ გუნდებს, რომლებიც მონაწილეობენ ევროპული საკლუბო თასების გათამაშებებში, უფლება აქვთ დააკომპლექტონ თავიანთი რიგები 1 აგვისტოსთვის. შესაბამისად ამისა, ა. ბუბნოვს ნება დაერთო 14 ივლისიდან ითამაშოს მოსკოვის „სპარტაკში“ (ეს გუნდი წლეულს, როგორც ცნობილია, მონაწილეობს უეფა-ს თასზე, მისი მეტოქეა ფინეთის ჰიკ-ი).

## უმაღლესი ლიგა

### გათამაშების ცხრილი

#### დუბლიორთა შემადგენლობანი

მდგომარეობა 17 ივლისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინ.“ მ. | 18 | 13 | 3 | 2 | 27—9 | 29 |
| „დინ.“ კ. | 17 | 13 | 2 | 2 | 41—12 | 28 |
| „დინ.“ მნ. | 18 | 9 | 7 | 2 | 35—22 | 25 |
| ცსკა | 18 | 7 | 7 | 4 | 29—20 | 21 |
| „ზენიტი“ | 18 | 9 | 2 | 7 | 32—25 | 20 |
| „დინ.“ თბ. | 18 | 8 | 4 | 6 | 21—13 | 20 |
| „ნეფთჩი“ | 18 | 7 | 5 | 6 | 26—24 | 19 |
| „ჟალგირ.“ | 18 | 6 | 6 | 6 | 28—28 | 18 |
| „მეტალ.“ | 17 | 6 | 5 | 6 | 30—27 | 17 |
| „ჩერნომ.“ | 18 | 6 | 5 | 7 | 29—28 | 17 |
| „სპარტ.“ | 18 | 5 | 6 | 7 | 29—36 | 16 |
| „ფახთაქ.“ | 18 | 4 | 8 | 6 | 20—32 | 16 |
| „დნეპრი“ | 17 | 5 | 5 | 7 | 21—25 | 15 |
| „ტორპ.“ მ. | 18 | 5 | 4 | 9 | 19—30 | 14 |
| „არარატი“ | 18 | 5 | 4 | 9 | 15—30 | 14 |
| „ტორპ.“ ქ. | 18 | 5 | 1 | 12 | 19—38 | 11 |
| „ნისტრუ“ | 17 | 3 | 5 | 9 | 16—29 | 11 |
| „შახტ.“ | 18 | 3 | 3 | 12 | 13—22 | 9 |

● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი

# ზაფხულის „დიდი შესვენების“ დროს

**ფეხბურთის** მოყვარულები ინტერესით ადევნებენ თვალს ევროპის ჩემპიონატის წინასწარ თამაშებს ჯგუფებში. აქ ახლა „დიდი შესვენების“ პერიოდია, შემოდგომამდე მატჩები არაა და, ამდენად, საშუალება გვაქვს მოკლედ მიმოვიხილოთ თუ სადღეისოდ, წინასწარ ეტაპზე, ვის რა შანსები გააჩნია ფინალურ ეტაპზე გასასვლელად.

მკითხველს შევახსენებთ, რომ ევროპის ჩემპიონატის გადამწყვეტი, ფინალური თამაშები 1984 წლის ივნისში გაიმართება საფრანგეთის ქალაქებში (პარიზი, ნანტი, სენტ-ეტიენი, ლანსი, მარსელი, ლიონი, სტრასბური), ამ ეტაპზე იასპარეზებს 8 ქვეყნის ნაკრები. ჯერჯერობით ცნობილია მხოლოდ ერთი გუნდი, რომელსაც ფინალის საგზური წინასწარვე აქვს განაღდებული: ფრანგი ფეხბურთელები გათამაშების ორგანიზატორები არიან და ამიტომ, დებულების პრეროგატივით, ისინი უშუალოდ გადამწყვეტ ეტაპზე დაუშვეს.

სულ წინასწარ ჯგუფებში უნდა ჩატარდეს 116 მატჩი, მათგან სადღეისოდ ნათამაშევია 74, წლეულს გათამაშება საკვალიფიკაციო ჯგუფებში მთლიანად უნდა დამთავრდეს.

ფინალში გასვლის პრეტენდენტთა რაოდენობა უკვე ახლა, საგაზაფხულო ციკლის შემდეგ, საგრძნობლად შემცირდა, როგორც ყოველთვის, არის სიურპრიზებიც. მაგალითად, იტალიელმა ფეხბურთელებმა, რომლებმაც შარშან ბრწყინვალედ იასპარეზეს ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატში და პირველობაც მოიპოვეს, ყოველგვარი პრაქტიკული და თეორიული შანსი დაკარგეს ფინალურ ტურნირში მონაწილეობაზე. ესაა ევროპის ჩემპიონატის პირველი ეტაპის ყველაზე დიდი მოულოდნელობა, მაგრამ იტალიელებს გარდა ევროპულ გათამაშებას გამოეთიშა განვლილი მსოფლიო ჩემპიონატის კიდევ 2 ფინალისტი — შოტლანდიისა და უნგრეთის გუნდები. ამ სამი აღიარებული ფავორიტის გარდა აღარავითარი შანსი არ გააჩნიათ ალბანეთის, ბულგარეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ირლანდიის, ისლანდიის, კიპროსის, ლუქსემბურგის, მალტის, თურქეთისა და ფინეთის გუნდებს. მათთვის ევროპის 1984 წლის ჩემპიონატი არსებითად დასრულებულია.

შეჯიბრება წინასწარ ჯგუფებში განახლდება სექტემბერში, მანამდე კი შეიძლება განვლილ ბრძოლათა საერთო სურათის შეჯამება, მოვიყვანოთ გათამაშებათა ცხრილებს, აგრეთვე, საშემოდგომო კალენდარულ შეხვედრათა განრიგს.

**I ჯგუფი (ბელგია, გდრ, შვეიცარია, შოტლანდია).**

ფინალში მოხვედრის საუკეთესო შესაძლებლობა აქვთ ბელგიელ ფეხბურთელებს, რომლებმაც 4 ჩატარებულ მატჩში ქულათა მაქსიმუმი დააგროვეს — 8. სათამაშო მათ დარჩათ შოტლანდიისა და შვეიცარიის გუნდებთან. საკმარისია ბელგიელებმა ამ 4 შესაძლებლიდან აიღონ ერთი. სულ ერთი ქულა და მათი დამწევი ჯგუფში აღარავინაა. თუმცა, ეს „ერთი ქულა“ ძალზე ძნელი მოსაპოვებელია. საქმე ისაა, რომ ბელგიის ნაკრებმა ორივე მატჩი სტუმრად უნდა ითამაშოს, ცხადია, შოტლანდიელებიც და შვეიცარიელებიც შეეცდებიან ყველაფერი გააკეთონ თავიანთი საფეხბურთო პრესტიჟის ღირსეულად დასაცავად.

გუნდების მდგომარეობა I ჯგუფის სატურნირო ცხრილში ასეთია:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ბელგია** | 4 | 4 | 0 | 0 | 10—4 | 8 |
| **შვეიცარია** | 4 | 1 | 2 | 1 | 4—5 | 4 |
| **შოტლანდია** | 4 | 1 | 1 | 2 | 6—7 | 3 |
| **გდრ** | 4 | 0 | 1 | 3 | 2—6 | 1 |

დარჩენილი შეხვედრები: 12 **ოქტომბერი.** შოტლანდია — ბელგია, გდრ — შვეიცარია. **9 ნოემბერი.** შვეიცარია — ბელგია. **16 ნოემბერი** —გდრ — შოტლანდია.

**II ჯგუფი (სსრ კავშირი, პოლონეთი, პორტუგალია, ფინეთი).**

საბჭოთა ფეხბურთელებს ფინალში მოხვედრის უდავოდ რეალური შესაძლებლობა აქვთ, საამისოდ სავსებით საკმარისია 9 ოქტომბერს საკუთარ მინდორზე გავიმარჯვოთ პოლონეთის გუნდთან და ყველა პრობლემა ამ ეტაპზე წარმატებით გადაწყდება. საქმე ისაა, რომ ჩვენს ნაკრებს გატანილი და მიღებული ბურთების გაცილებით უკეთესი სხვაობა აქვს ვიდრე უშუალო კონკურენტებს — პორტუგალიისა და პოლონეთის გუნდებს, ამ მაჩვენებელს კი ქულათა თანატოლობისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, დამატებითი მატჩები ჯგუფებში გათვალისწინებული არაა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **სსრ კავშირი** | 4 | 3 | 1 | 0 | 9—1 | 7 |
| **პოლონეთი** | 4 | 1 | 2 | 1 | 6—6 | 4 |
| **პორტუგალია** | 3 | 2 | 0 | 1 | 4—6 | 4 |
| **ფინეთი** | 5 | 0 | 1 | 4 | 3—9 | 1 |

დარჩენილი შეხვედრები: 21 **სექტემბერი.** პორტუგალია —ფინეთი. **9 ოქტომბერი.** სსრ კავშირი — პოლონეთი. **28 ოქტომბერი.** პოლონეთი — პორტუგალია. **13 ნოემბერი.** პორტუგალია — სსრ კავშირი.

**III ჯგუფი (ინგლისი, უნგრეთი, საბერძნეთი, დანია, ლუქსემბურგი).**

ფინალის საგზურისთვის დაძაბული ბრძოლა წარმოებს ინგლისისა და დანიის გუნდებს შორის. პირველ ადგილზე ახლა ინგლისელები არიან, დანიელები მათ მცირედით ჩამორჩებიან, მაგრამ ინგლისელთა შანსი მეტოქეზე გაცილებით უკეთესია, ვინაიდან თავიანთ ძირითად კონკურენტს ისინი ღებულობენ შინ, ლონდონის „უემბლის“ სტადიონზე, დანიელებმა კი 3 მატჩი სტუმრად უნდა ითამაშონ, დანაკარგისგან, რა თქმა უნდა, ისინი გარანტირებული არ არიან.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ინგლისი** | 5 | 3 | 2 | 0 | 16—2 | 8 |
| **დანია** | 4 | 3 | 1 | 0 | 8—4 | 7 |
| **საბერძნეთი** | 5 | 2 | 1 | 2 | 5—6 | 5 |
| **უნგრეთი** | 5 | 2 | 0 | 3 | 15—12 | 4 |
| **ლუქსემბურგი** | 5 | 0 | 0 | 5 | 5—25 | 0 |

დარჩენილი შეხვედრები: 21 **სექტემბერი.** ინგლისი — დანია, **12 ოქტომბერი.** უნგრეთი — ინგლისი, დანია — ლუქსემბურგი. **26 ოქტომბერი.** უნგრეთი — დანია. **16 ნოემბერი.** საბერძნეთი დანია, ლუქსემბურგი — ინგლისი. **3 დეკემბერი.** საბერძნეთი — უნგრეთი. **14 დეკემბერი.** საბერძნეთი — ლუქსემბურგი.

**IV ჯგუფი (ბულგარეთი, ნორვეგია, უელსი, იუგოსლავია).**

ყველაზე რთული სატურნირო სიტუაცია მეოთხე ჯგუფში შეიქმნა, სადაც უელსის, იუგოსლავიისა და ნორვეგიის გუნდებს დაახლოებით ერთნაირი პრეტენზიები აქვთ ერთ საგზურზე. შეიძლება აქ ისე მოხდეს, რომ სამივე კონკურენტმა ქულათა თანაბარი რაოდენობა დააგროვოს და მაშინ ყველაფერს გადაწყვეტს გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **უელსი** | 3 | 2 | 1 | 0 | 6—4 | 5 |
| **ნორვეგია** | 3 | 1 | 1 | 1 | 5—4 | 3 |
| **იუგოსლავია** | 3 | 1 | 1 | 1 | 6—7 | 3 |
| **ბულგარეთი** | 3 | 0 | 1 | 2 | 2—4 | 1 |

დარჩენილი შეხვედრები: 7 **სექტემბერი.** ნორვეგია — ბულგარეთი. 21 **სექტემბერი.** ნორვეგია — უელსი. 12 **ოქტომბერი.** იუგოსლავია — ნორვეგია. **16 ნოემბერი.** ბულგარეთი — უელსი. 14 **დეკემბერი** უელსი — იუგოსლავია. **21 დეკემბერი.** იუგოსლავია—ბულგარეთი.

**V ჯგუფი (იტალია, კვიპროსი, რუმინეთი, ჩეხოსლოვაკია, შვეცია).**

ეს ის ჯგუფია, სადაც წილისყრის შემდეგ უდავო ფავორიტად ყველას იტალიის ნაკრები მიაჩნდა, მაგრამ იტალიელებმა, როგორც იცით, წინასწარ შეხვედრებშივე იწვნიეს მარცხი და საგზურის მოპოვების უფლებაც სხვებს „გადააბარეს“. ერთხანს ჯგუფში ლიდერობდნენ შვედები, შემდეგ — რუმინელები. ეტყობა, V ჯგუფში პირველი ადგილის გასარკვევად დიდი მნიშვნელობა ექნება ჩეხოსლოვაკიისა და რუმინეთის გუნდების შეხვედრას.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **რუმინეთი** | 6 | 4 | 1 | 1 | 7—2 | 9 |
| **ჩეხოსლოვაკია** | 5 | 2 | 3 | 0 | 12—5 | 7 |
| **შვეცია** | 6 | 3 | 1 | 2 | 10—5 | 7 |
| **იტალია** | 5 | 0 | 3 | 2 | 3—6 | 3 |
| **კვიპროსი** | 6 | 0 | 2 | 4 | 3—17 | 2 |

**VI ჯგუფი (გფრ, ავსტრია, ჩრდილოეთ ირლანდია, თურქეთი, ალბანეთი).**

ჯგუფში დამაჯერებლად ლიდერობენ ავსტრიელი ფეხბურთელები, მაგრამ დასავლეთ გერმანიის ნაკრებს, თუმცა, მას ახლა სულ 5 ქულა აქვს, ჯერ კიდევ შეუძლია თქვას თავისი სიტყვა და ფინალში თამაშის უფლებაც მოიპოვოს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ავსტრია** | 5 | 4 | 1 | 0 | 13—1 | 9 |
| **ჩრ. ირლანდია** | 5 | 3 | 1 | 1 | 4—3 | 7 |
| **გფრ** | 4 | 2 | 1 | 1 | 5—2 | 5 |
| **თურქეთი** | 5 | 1 | 1 | 3 | 3—10 | 3 |
| **ალბანეთი** | 7 | 0 | 2 | 5 | 3—12 | 2 |

დარჩენილი შეხვედრები. 21 **სექტემბერი.** ჩრ. ირლანდია — ავსტრია. 5 **ოქტომბერი.** გფრ—ავსტრია. 12 **ოქტომბერი.** თურქეთი — ჩრ. ირლანდია. 26 **ოქტომბერი.** გფრ — თურქეთი. 16 **ნოემბერი.** გფრ — ჩრ. ირლანდია, თურქეთი — ავსტრია. 20 **ნოემბერი.** გფრ — ალბანეთი.

**VII ჯგუფი (ესპანეთი, ჰოლანდია, ირლანდია, ისლანდია, მალტა).**

ესპანეთის ფეხბურთელებს ყველაზე უკეთესი შესაძლებლობა აქვთ გავიდნენ ფინალში, ვინაიდან ისინი ახლა, ჯერ ერთი, დიდი განსხვავებით ლიდერობენ და, მეორეც, დარჩენილ 2 მატჩში შინ ღებულობენ ისლანდიელებს, ირლანდიელებთან კი სტუმრად თამაშობენ, მაგრამ ჰოლანდიის ნაკრებსაც არ დაუკარგავს იმედი დაეწიოს ლიდერს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ესპანეთი** | 6 | 5 | 1 | 0 | 11—5 | 11 |
| **ჰოლანდია** | 4 | 2 | 1 | 1 | 9—3 | 5 |
| **ირლანდია** | 5 | 2 | 1 | 2 | 7—7 | 5 |
| **ისლანდია** | 6 | 1 | 1 | 4 | 3—7 | 3 |
| **მალტა** | 5 | 1 | 0 | 4 | 4—12 | 2 |

დარჩენილი შეხვედრები. 7 **სექტემბერი.** ჰოლანდია — ისლანდია. 21 **სექტემბერი.** ისლანდია— ირლანდია. 12 **ოქტომბერი.** ირლანდია—ჰოლანდია. **16 ნოემბერი.** ჰოლანდია—ესპანეთი, ირლანდია — მალტა, 17 **დეკემბერი.** ჰოლანდია — მალტა. **21 დეკემბერი.** ესპანეთი —მალტა.

ასეთია ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფებში სადღეისოდ შექმნილი მდგომარეობა, როგორც ხედავთ, ბევრი რამ გაირკვევა მხოლოდ წლის დასასრულს.

ევროპის ჩემპიონატის ორგანიზატორები საგანგებოდ აღნიშნავენ, რომ ფინალური სტადიის მონაწილე თითოეული გუნდი 3-3 წინასწარ მატჩს ჩაატარებს საფრანგეთის სხვადასხვა ქალაქის სტადიონებზე და არა ერთ ადგილას, ამასთან, საჰაერო მგზავრობას ქალაქებს შორის ერთ საათზე მეტი არ დაჭირდება. მაგრამ მიმომხილველები იმასაც ხაზს უსვამენ, რომ შეჯიბრების ჩასატარებლად ჯერჯერობით მზადაა მხოლოდ პარიზის „პარკ-დე პრენსის“ სტადიონი, ნანტისა და სტრასბურის სტადიონები მხოლოდ ახლა შენდება, ხოლო სენტ-ეტიენის, ლანსის, მარსელისა და ლიონის სტადიონები საჭიროებენ მნიშვნელოვან რეკონსტრუქციას და გაფართოებას.

**რ. ქორიძე.**



**მსოფლიო** ჩემპიონების — იტალიელი ფეხბურთელების მარცხი ევროპის ჩემპიონატის წინასწარ ჯგუფში დიდი მოულოდნელობა იყო. კერძოდ, იტალიელებმა გეტებორგში ვერაფერი გააწყეს შვეციის ნაკრებთან და მარცხი განიცადეს ანგარიშით 0:2.

* * *

**სურათზე:** შვეციის ნაკრების თავდამსხმელს სანდბერგს პირველი ბურთი გააქვს იტალიელთა კარში.




**ევროპის ჩემპიონატის III შესარჩევ ჯგუფში დანიელმა ფეხბურთელებმა თავიანთ მინდორზე, კოპენჰაგენში, მიიღეს უნგრეთის ნაკრები და 40 ათასი მაყურებლის აქტიური მხარდაჭერით გაიმარჯვეს ანგარიშით 3:1.**

* * *

**ს უ რ ა თ ზ ე:** დანიისა და უნგრეთის გუნდების შეხვედრის ერთ-ერთი მომენტი.



# კარსტულ მღვიმეებში

**კარსტული** მოვლენები ფართოდაა გავრცელებული მთელ მსოფლიოში. დედამიწის ზედაპირის მესამედი ისეთი ქანებითაა დაფარული, სადაც მოსალოდნელია კარსტული პროცესების განვითარება. კარსტი არსებითად ცვლის ტერიტორიის ლანდშაფტურ თავისებურებებს, რელიეფს, მცენარეულ საფარს და სხვ.

კარსტულ მხარეში მდებარეობს ბუნების ჯადოსნური ხელით მოჩუქურთმებული მიწისქვეშა სასახლეები — მღვიმეები. ზოგიერთი მათგანი კეთილმოწყობილია და საინტერესო ტურისტულ ობიექტს წარმოადგენს. ამჟამად მსოფლიოში სამასზე მეტი კეთილმოწყობილი მღვიმეა, რომელთაც ყოველწლიურად ოც მილიონზე მეტი მნახველი ჰყავს.

საქართველოს სამართლიანად უწოდებენ მღვიმეების მხარეს. ერწოს ტბიდან მდინარე ფსოუმდე გაჭიმულია ცარცული ასაკის კირქვებით აგებული სამასკილომეტრიანი ზოლი, რომლის ფართობი 4500 კვადრატულ კილომეტრზე მეტია. ამ ზოლში რვაასამდე მღვიმე და უფსკრულია აღმოჩენილი. ზოგიერთი მათგანი პირველხარისხოვანი ტურისტული ობიექტია.

კარსტთან დაკავშირებულ პრობლემებს იკვლევენ გეომორფოლოგები, ფიზგეოგრაფები, გეოლოგები, ჰიდროლოგები, ასევე მონათესავე დარგის სპეციალისტები — არქეოლოგები, პალეონტოლოგები, მინერალოგები და სხვ. მღვიმეებში მუშაობისას მათ დიდ დახმარებას უწევენ სპელეოლოგები.

• • •

**ს უ რ ა თ ებ ზ ე:** შაქურანის გვირაბი; ა. ოქროჯანიშვილის მღვიმე ახხის მასივზე; სპელეოლოგები ლ. მეტრეველი და მ. ნინოშვილი მღვიმეში შესვლის წინ.

ჯ. ჯიშკარიანისა და ხ. შარანოვის ფოტოები.

# ვირსმა თუ ვირნი?

● ჭადრაკი

**ამსტერდამში** მიმდინარე ასურიან შაშში მსოფლიო ჩემპიონატის მე-13 ტურში ყაიმით დამთავრდა რ. კლერკ (ჰოლანდია)— ა. ბალიაკინის (სსრ კავშირი), ხ. ვირსმა (ჰოლანდია) — ა. განტვარგის (სსრ კავშირი), ი. ვან დერ ვალის (ჰოლანდია)— ვ. ვირნის (სსრ კავშირი) შეხვედრები. დ. კუასიმ (სპილოს ძვლის ნაპირი) წააგო ვ. კაპლანთან (აშშ).

უკანასკნელი, მე-14 ტურის წინ წინაა ვირსმა —8,5 ქულა. მეორე ადგილზეა ვირნი — 8, კლერკსა და განტვარგს 7,5-7,5 ქულა აქვთ.

# ერთი მატჩიც...

● რეგბი

რეგბიში არსებობს დიდი ხნის ტრადიცია. — მატჩები ჩატარდეს კვირაობით, ოთხშაბათი ამჯერად გამონაკლისი აღმოჩნდა, ამ დღეს 2 გამოტოვებული მატჩი უნდა გამართულიყო და ეთამაშათ სსრ კავშირის ჩემპიონს მოსკოვის „სლავას" და საკავშირო თასის მფლობელს კიევის „ავიატორს".

„სლავამ" წარუმატებლად ჩაატარა მატჩი ლენინგრადში ადგილობრივ „პრიმორეცთან". პირველი ტაიმი წააგო 0:3, შემდეგ ვერაფრით ვერ შეძლო მდგომარეობის გამოსწორება და დამარცხდა — 13:16. ეს ჩემპიონების მესამე მარცხია. მოგაგონებთ, რომ შარშანდელ ტურნირში ჩემპიონებმა დაუმარცხებლად განვლეს შეჯიბრება.

„ავიატორმა" უმასპინძლა ალმა-ათის არმიელებს და გაიმარჯვა — 29:9. სსრ კავშირის თასის გათამაშების მესამე ნახევარფინალისტი გახდა კიევის „ავიატორი". ტურნირი, რომელიც აპრილში დაიწყო, აგვისტოში დამთავრდება. ნახევარფინალის პირველი მონაწილენი არიან მოსკოვის „ფილი" და ი. გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდი. ნახევარფინალში „ავიატორის" მეტოქეს დაასახელებს 20 ივლისის მატჩი „სლავასა" და ქუთაისის „სახლმშენს" შორის.

# მედლები და რეკორდები

● გემსამოდელო სპორტი

საბჭოთა გემმოდელეები წარმატებით გამოვიდნენ ბულგარეთის ქალაქ სტარა-ზაგორაში გამართულ მესამე მსოფლიო ჩემპიონატში. „მცირე ფლოტის" საბჭოთა ოსტატების ანგარიშზეა 9-დან 8 რეკორდი. თავი ისახელა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა იზმაილელმა ა. ტუპიკინმა, რომელმაც მსოფლიო რეკორდები დაამყარა 31 კლასში (საჰაერო ხრახნიანი მოდელით) — 245,902 კილომეტრი საათში და ა—1 კლასში (2,5 კბ სმ წყლის ხრახნიანი მოდელით) — 174,250 კმ,სთ. თითო მსოფლიო რეკორდის ავტორები არიან საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატები ვლადივოსტოკელი ვ. სუზიტინი და მოსკოველი კ. პაჭკორია.

მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობდნენ 17 ქვეყნის წარმომადგენლები. პრიზების ყველაზე მდიდარი კოლექცია აქვთ საბჭოთა გემმოდელეებს — 5 ოქროს, 4 ვერცხლის და 5 ბრინჯაოს ჯილდო.

(საქდეხი).

● ფეხბურთი

# პროფკავშირების თასზე

**II ლიგის IX** ზონაში საკავშირო საფეხბურთო გათამაშება მცირე ხნით შეწყდება (ივლისი-აგვისტო) და ამ პერიოდში ამიერკავკასიის 16 გუნდი მონაწილეობს პროფკავშირების სპორტსაზოგადოებათა საკავშირო თასის გათამაშებაში. აღნიშნულ ტურნირში ზონიდან არ ითამაშებს მხოლოდ აშხაბადის „კოლხოზჩი", რომლის ფეხბურთელთა უმრავლესობა თურქმენეთის ნაკრების სახელს დაიცავს სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე.

პროფკავშირების თასის შეხვედრები დაიწყო 17 ივლისს. გათამაშების წინასწარ ეტაპზე გუნდები ტერიტორიული პრინციპით 4 ჯგუფად არიან დაყოფილი, ისინი წრიული სისტემით შეხვდებიან ერთმანეთს საკუთარ და მეტოქის მინდვრებზე. 7 აგვისტოსთვის გამოვლინდებიან ჯგუფებში გამარჯვებული გუნდები, რომლებიც ბრძოლას გააგრძელებენ შემდეგ ეტაპზე, დასკვნითი თამაშები კი გათვალისწინებულია ნოემბრისთვის.

დასკვნით ეტაპზე, ე. ი. მერვედფინალიდან მოყოლებული, თამაშები გაიმართება გამოთიშვითი სისტემით.

მოგვყავს წინასწარი ჯგუფების შემადგენლობანი:

„ა" **ჯგუფი.** „კოლხეთი" (ფოთი), „დინამო" (სოხუმი), „დინამო" (ბათუმი), „მერცხალი" (მახარაძე).

„ბ" **ჯგუფი.** „ლოკომოტივი" (სამტრედია), „მეშახტე" (ტყიბული), „დილა" (გორი), „ქიაფაზი" (კიროვაბადი).

„გ" **ჯგუფი.** „კოტაიკი" (აბოვიანი), „შირაკი" (ლენინაკანი), „სპარტაკი" (ოქტომბერიანი), „ოლიმპია" (არტაშატი).

„დ" **ჯგუფი.** „ხაზარი" (ლენქორანი), „ყარაბახი" (სტეფანაკერტი), „ავტომობილისტი" (მინგეჩაური), „არაზი" (ნახიჩევანი).

პროფკავშირების თასის გადამწყვეტი, ფინალური მატჩი გაიმართება ნეიტრალურ მინდორზე.

მოგვყავს გათამაშების კალენდარი საქართველოს გუნდებისთვის:

**ივლისი**

21. „კოლხეთი" — „მერცხალი", „დინამო" ს. — „დინამო" ბ. „ლოკომოტივი" — „ქიაფაზი", „დილა" — „მეშახტე".

24. „მეშახტე" — „ქიაფაზი".

25. „დინამო" ს. —„კოლხეთი" „დინამო" ბ.— „მერცხალი".

26. „დილა" — „ლოკომოტივი".

29. „ქიაფაზი" — „ლოკომოტივი".

30. „დინამო" ბ. — „დინამო" ს., „მერცხალი" — „კოლხეთი", „მეშახტე" — „დილა".

**აგვისტო**

2. „კოლხეთი"—„დინამო" ს., „ლოკომოტივი" — „დილა".

3. „მერცხალი" — „დინამო" ბ., „ქიაფაზი" — „მეშახტე".

7. „დინამო" ბ. — „კოლხეთი", „დინამო" ს. — „მერცხალი", „მეშახტე" —„ლოკომოტივი", „დილა" — „ქიაფაზი".

# ვეტერანები და ახალგაზრდები

**მეტად** საინტერესო ამხანაგური საფეხბურთო მატჩი გაიმართა ამას წინათ კიევის „დინამოს" სტადიონზე, რომელსაც მრავალრიცხოვანი მაყურებელი დაესწრო. გასაგები იყო გულშემატკივართა ინტერესი: ერთმანეთს ხვდებოდნენ კიევის „დინამოს" ვეტერანები და ახლანდელი საბრძოლო შემადგენლობა.

ვეტერანთა რიგებში გამოდიოდნენ ცნობილი ოსტატები რუდაკოვი, ბანიკოვი, კონკოვი, მატვიენკო, ფომენკო, ტროშკინი, საბო, კოლოტოვი, მუნტიანი, ბიშოვეცი, ონიშჩენკო, ხმელნიცკი და სხვანი. რა თქმა უნდა, ახლანდელმა შემადგენლობამ, რომელიც სტაბილურ სპორტულ ფორმაშია, შეძლო მატჩის მოგება ანგარიშით 3:1, მაგრამ როგორც კიეველი ჟურნალისტი ვ. ბორისოვი იტყობინება, ვეტერანთა ტექნიკურმა ოსტატობამ, იმპროვიზაციამ და ტაქტიკურმა მრავალფეროვნებამ მაყურებელთა ერთსულოვანი მოწონება დაიმსახურა.

# ამომავალი მზის ქვეყნის „ქარიშხალი"

**უაღრესად** დაძაბულად და საინტერესოდ ჩატარდა იაპონელ ფრენბურთელ ქალთა ნაკრების მატჩები ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში. განსაკუთრებით მეორე მატჩი, როცა სარბიელზე სსრ კავშირისა და იაპონიის ნაკრები გუნდები გამოვიდნენ. ბადესთან ვითარება ისე დაიძაბა, რომ მხარეებისათვის არაფერს ნიშნავდა 4-6 ქულით დაწინაურება. ასე მაგალითად, მეორე პარტიაში წინ გაიჭრნენ მასპინძლები — 14:9, პარტია კი იაპონელებმა მოიგეს. მომდევნო პარტიაში სტუმრებმა წაიყვანეს ანგარიში — 10:6 და გამარჯვება საბჭოთა სპორტსმენებს დარჩათ — 15:12, მეოთხე პარტიაში დაწინაურდა მასპინძელთა გუნდი — 6:0, საბოლოო გამარჯვება კი იაპონელებმა იზეიმეს— 16:14. სტუმრების მთავარ ძალას კარგი ურთიერთგაგება და ექვსეულის შეთამაშება წარმოადგენდა რაც იმით აიხსნება, რომ მოედანზე გამოსულ 6 სპორტსმენიდან, 5 კლუბ „ნიტაჩის" წევრია, ერთიც „იუნიტიში" თამაშობს. სტუმრებმა ამ შეხვედრაში აჩვენეს ყველაფერი ის, რაც თანამედროვე ფრენბურთის მშვენებას წარმოადგენს — ბადის ორივე მხრიდან და ცენტრიდან მოულოდნელი თავდასხმები, შესანიშნავი ჯგუფური და ინდივიდუალური ბლოკირება, ვირტუოზული ურთიერთდახმარება დაცვაში.

მატჩის შემდეგ იაპონელთა მწვრთნელმა იამადამ განაცხადა, რომ ამ ვიზიტს წინ უძღოდა მაისის შეხვედრები საბჭოთა გუნდთან, სადაც 6-დან 4 მატჩში გაიმარჯვეს იაპონელებმა, ივნისში წარმატებით გამოსვლა კუბელებთან, შემდეგ 6 მატჩიან სერიაში 5 გამარჯვების მოპოვება ამერიკელებთან, დაბოლოს, უმძიმესი მატჩი ჩინელებთან. ყველაფერმა ამან დაღი დაასვა გუნდის გამოსვლებს, მაგრამ მოსკოვში გუნდის წევრები გადამწყვეტ მომენტში ყოველთვის მოწოდების სიმაღლეზე იყვნენ.



## „ფული არ მყოფნის!"

**ასეთი** განცხადება რომ რომელიმე ღარიბ სპორტსმენს გაეკეთებინა კიდევ კარგი, მაგრამ...

პრინცესა ანა ინგლისის დედოფალ ელისაბედ II-ის შვილია. იგი ევროპაში საკმაოდ ცნობილი მოჯირითეა. ახლა მან განაცხადა, რომ აღარ დაიცავს თავისი ქვეყნის ღირსებას საერთაშორისო შეჯიბრებებში, რადგან „ფული არ ჰყოფნის ცხენების შესაძენად". როგორც პრინცესამ თქვა, იგი ამ გადაწყვეტილებაზე ხელს აიღებდა და ცხენოსნობას დაუბრუნდებოდა, თუკი „მეფის ოჯახს გაუდიდებდნენ ყოველწლიურ სახარჯავ თანხას".

ამასთან დაკავშირებით გაზეთები ირონიულად წერენ, რომ მეფის ოჯახის ხარჯებისთვის განკუთვნილი ყოველწლიური თანხა, არც მეტი, არც ნაკლები 7 მილიონი გირვანქა სტერლინგია (14 მილიონი დოლარი).

## ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს

**ცნობილი** ამერიკული კალათბურთის გუნდის „ჰარლემ გლობტროტერსის" მოთამაშე-მწვრთნელი ნაიტ ბრაუნი დააპატიმრეს ტაქსონის (არიზონის შტატი) აეროპორტში, სადაც იგი თავის კალათბურთელებთან ერთად ჩავიდა. რატომ? მწვრთნელს საკმაო რაოდენობით აღმოუჩინეს ნარკოტიკები.

ყველაზე საინტერესო ის იყო. რომ „ჰარლემ გლობტროტერსი" ტაქსონში ჩავიდა ახალგაზრდულ ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად, რომლის ლოზუნგი იყო: „ითამაშეთ კალათბურთი, რაიაც ბალახბულახის (ე. ი. ნარკოტიკების) ქაჩვის ნაცვლად".

## რას დაეწევი!

**ლონდონში** გამართული მარათონული რბენის დროს მაყურებლებმა ყურადღება მიაქციეს ასეთ სურათს: პოლიციელი დაედევნა და ვერაფრით ვერ დაეწია კაცს, რომელსაც პლაკატი ეჭირა მთავრობის მკაცრი კრიტიკის გამომხატველი სიტყვებით. ეს კაცი აღმოჩნდა ცნობილი დრამატული მსახიობი კრისტოფერ ნიმი.

— მე ასე იოლად ვერავინ დამეწევა, — განაცხადა მსახიობმა. — ერთხელ, ინდოეთში რომ ვცხოვრობდი, მარტორქა გამომედევნა, მაგრამ მანაც კი ვერაფერი დამაკლო.

## ისევ ქაღალდის თამაში ამჯობინეს

**ინგლისის** სასახლის კარზე დღემდე შემორჩა მასხარას თანამდებობა, რომელსაც ახლა 52 წლის ჯორჯ ბერნსი ასრულებს. სხვათა შორის, მის მოვალეობას შეადგენს დედოფალს საღამოობით ქაღალდი ეთამაშოს, რათა როგორმე შეიქციოს იგი. ამას წინათ ბერნსმა დედოფალ ელისაბედის მიმართ თხოვნა დაწერა, სადაც წინადადებას იძლეოდა ქაღალდის თამაში ჭადრაკით შეცვლილიყო და ასეთი ისტორიული ანალოგიაც მოიყვანა — XVI საუკუნის მეორე ნახევარში ცნობილ დედოფალ ელისაბედის კარზე სწორედ ჭადრაკს ამჯობინებდნენ.

სიახლე განუხორციელებელი დარჩა — სულ ცოტა ხნის შემდეგ ახლანდელი დედოფალი და მისი ახლობლები ისევ ქაღალდის თამაშს დაუბრუნდნენ.

**გუშინ** მოსკოვში მოეწყო „სპორტლოტოს" მორიგი, 29-ე ტირაჟები.

**„სპორტლოტო 6 49"-დან:** 8 (ტრეკზე ველორბოლა), 24 (ხელბურთი), 28 (ტყვიის სროლა), 30 (ძალოსნობა), 32 (ფიგურული ციგურაობა), 47 (ტურიზმი).

**„სპორტლოტო 5 36"-დან:** 5 (თავისუფალი ჭიდაობა), 6 (ძიუდო), 9 (საგზატკეცილო ველორბოლა), 13 (სამთოსათხილამურო სპორტი), 30 (ძალოსნობა).

რედაქტორი ა. ბასილაია.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი — 96, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29. ИНДЕКС 66435 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 უე 07639